საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1974 2015 წლის 14 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის გეგმის ფარგლებში, სკრინინგული კვლევებისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდის თაობაზე

1. C ჰეპატიტის ელიმინაციის გეგმის ფარგლებში, მოსახლეობის სკრინინგული კვლევებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საქართველოში, 2015 წლის 15 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ჩატარდეს სკრინინგი C ჰეპატიტსა და აივ-ინფექცია/შიდსზე.

2. C ჰეპატიტსა და აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგის ჩატარების მიზნით, დაევალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს (შემდგომში - ცენტრი) შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

ა) სკრინინგისათვის საჭირო C ჰეპატიტის სადიაგნოსტიკო სწრაფი-მარტივი ტესტებისა და ლაბორატორიული სახარჯი მასალების შესყიდვა;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
№ 89636
"16" 09 2015 წ.
3 ფურცელი

ბ) მოსახლეობის ინფორმირება C ჰეპატიტზე და აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგის ჩატარების თაობაზე;

გ) მოსახლეობის სკრინინგის ჩატარება, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვით, ცენტრის რეგიონული ლაბორატორიების ბაზაზე და გამსვლელი ბრიგადების გამოყენებით;

დ) C ჰეპატიტზე სკრინინგით გამოვლენილი დადებითი შემთხვევების რეფერალი დამატებითი ლაბორატორიული კვლევების ჩასატარებლად, „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებით განსაზღვრულ სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში, ხოლო აივ-ინფექცია/შიდსზე გამოვლენილი დადებითი შემთხვევების რეფერალი „აივ-ინფექცია/შიდსის" სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებელთან, კონფირმაციული კვლევების ჩასატარებლად;

ე) C ჰეპატიტზე სკრინინგის შედეგების აღრიცხვა სპეციალურ მონაცემთა ბაზებში.

3. ამ განკარგულებით განსაზღვრული ლაბორატორიული კვლევებისათვის საჭირო მასალების (რეაგენტების, C ჰეპატიტის ტესტ-სისტემებისა და სახარჯი მასალის) შესყიდვა ცენტრმა განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის გზით.

4. აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგისათვის საჭირო ტესტების შესყიდვა ხორციელდება აივ-ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS,

Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა. აივ/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით“ - GEO-H-NCDC გრანტის ფარგლებში.

5. უფლება მიეცეს ცენტრს, ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო სასარჯი მასალების განსაზღვრული რაოდენობები გამოიყენოს ცენტრის საქმიანობისათვის (მ.შ. სახელმწიფო პროგრამებისათვის), წინა პერიოდში შესყიდული მარაგებიდან.

6. ამ განკარგულებით განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველყოფა განხორციელდეს „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამისათვის (პროგრამული კოდი: 35 03 02 01) გათვალისწინებული ასიგნებებიდან, 147.0 ათასი ლარის ოდენობით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი